

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზეზია არსებული წესი, რომელიც აფერხებს და დროში აჭიანურებს შემოსული დოკუმენტაციის განხილვას, იერარქიულად გაურცვლებას, შესასრულებელ მასალაზე კონტროლსა და მომზადებული პასუხის ადრესატამდე მიწოდებას.

კანონპროექტის მიღება საგრძნობლად გაუმარტივებს მუშაობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის იმ ორგანოებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სიტემაში. ისინი უფლებამოსილნი იქნებიან განახორციელონ შედგენილი დოკუმენტების გადაგზავნა შიდა დანაყოფების დონეზე, რაც გაამარტივებს და უფრო პრაქტიულსა და მოქნილს გახდის საქმისწარმოებას.

ა.ა) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მოხდეს მატერიალური დოკუმენტის ჩანაცვლება ელექტრონული დოკუმენტით. ამისათვის აუცილებელია „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გაურცვლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე, რითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოებისათვის (რომლებიც ჩართულნი იქნებიან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში) დაინერგება ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება.

ა.ბ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანოებს გარკვეული პირობის დადგომამდე ეკრძალებათ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება და ზოგადად ამ კანონის გამოყენება. აღნიშნულ მუხლში ცვლილების შედეგად კი სახელმწიფო ორგანოებს მიეცემა შესაძლებლობა გამოიყენონ ელექტრონული ხელმოწერა მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც. აღნიშნულის დაზუსტების მიზნით მე-19 მუხლს ემატება ასევე მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილნი იქნებიან გამოიყენონ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ხელმოწერა საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც, ამასთანავე, ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს ექნება ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს.“

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას იმ პირებზე რომლებზეც გავრცელდება ეს კანონი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.